

გაეროს უშიშროების საბჭოს წევრებმა და ევროკავშირმა დაგმეს რუსეთის მიერ განხორციელებული უკანონო გადაფრენები; გერმანია განაგრძობს სამშვიდობო ინიციატივას

“საქართველოს სუვერენიტეტის ამგვარი დარღვევა მიუღებელია”, აცხადებს ევროკავშირი და კვლავ მოუწოდებს რუსეთს უარი თქვას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების დე ფაქტო ანექსიაზე

გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს წევრებმა და ევროკავშირმა 21 ივლისს გამართულ შეხვედრაზე დაგმეს რუსეთის მიერ 8 ივლისს განხორციელებული საქართველოს საჰაერო სივრცის შეგნებული დაღვევის ფაქტი. განცხადებები უერთდება სულ უფრო მზარდ საერთაშორისო მოსაზრებას, რომ რუსეთი იქცა მზარდ აფხაზეთის კონფლიქტში და ამით შეუძლებელი გახადა მის მიერ მშვიდობისმყოფელისა თუ მედიატორის როლის შესრულება.

“ევროკავშირი განსაკუთრებულად შემფოთებულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, რომელიც ადასტურებს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავის გადაფრენას საქართველოს ტერიტორიაზე”, განაცხადა ევროკავშირმა გაეროს უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზე. განცხადების თანახმად, “საქართველოს სუვერენიტეტის ამგვარი დარღვევა მიუღებელია”.

უკანასკნელი პერიოდის მანძილზე ეს უკვე უშიშროების საბჭოს მეორე შეხვედრაა რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის აშკარა დარღვევის საპასუხოდ. 30 მაისს უშიშროების საბჭო შეიკრიბა გაეროს სადამკვირვებლო მისიის ანგარიშის განსახილველად, რომელიც ადასტურებდა რუსული სამხედრო თვითმფრინავის მიერ 20 აპრილს ქართული უპილოტო საფრენი აპარატის განადგურების ფაქტს საქართველოს ტერიტორიაზე. რუსეთმა ამ წლის განმავლობაში კიდევ არაერთხელ დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს ელჩმა ირაკლი ალასანიამ დეტალურად აღწერა რუსეთის უკანასკნელი აგრესიული ქმედებები და სამშვიდობო მანდატის დარღვევის ფაქტები. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ 8 ივლისს განხორციელებული გადაფრენა - რომელიც მოსკოვმა ოფიციალურად „გამართლა“ იმით, რომ სურდა “ცხელი თავების გაგრილება თბილისში” - წარმოადგენდა გაეროს ქარტიისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების თავხედურ დარღვევას. საქართველომ ასევე მოიწვია უშიშროების საბჭოს წევრები საქართველოში ვითარებაში დეტალურად გასარკვევად.

უშიშროების საბჭოს წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საქართველოს პოზიციას, ხოლო სახელმწიფოთა მთელი რიგი შეურთდა თბილისის მოთხოვნებს, რომელიც უკავშირდება: რუსი მშვიდობისმყოფელების მანდატის გადასინჯვას; საქართველოს ტერიტორიიდან უკანონო რუსული ქვედანაყოფების გაყვანას, რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მრავალჯერადი დარღვევის ფაქტების უკეთ შესწავლას.

ევროკავშირმა აგრეთვე გაიმეორა თავისი მოთხოვნა, რომ რუსეთმა უარი თქვას 16 აპრილის ბრძანებულების განხორციელებაზე, რომლის მიხედვითაც რუსეთი ამყარებს ოფიციალურ

კავშირებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების სეპარატისტულ რეჟიმებთან. ეს ბრძანებულება - რომელიც რუსეთმა უკანონოდ გამოიყენა მისი სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსური წარმომადგენლობის გასაზრდელად საქართველოს ტერიტორიებზე - განიხილება, როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების დე ფაქტო ანექსიის ნიშანი.

”ევროკავშირი კვლავაც იმეორებს მოწოდებას რუსეთის ფედერაციისადმი უარი თქვას 2008 წლის 16 აპრილის ბრძანებულების შესრულებაზე”, აცხადებს ევროკავშირი.

უშიშროების საბჭოს შეხვედრა შესდგა ევროკავშირის ინტენსიური დიპლომატიური აქტივობის შედეგად, რომელიც მიმართული იყო რუსეთის მიერ საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში განხორციელებული ქმედებებით გამოწვეული მზარდი დამაბულობის შესამცირებლად.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანც-ვალტერ შტაინმაიერი გასულ კვირას ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოსა და რუსეთში, გერმანიის საგარეო უწყების სამეტაპიანი სამშვიდობო გეგმის განსახილველად.

საქართველოს მთავრობა მიესალმა გერმანიის აქტიურ ჩართვას სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობაში. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, გერმანიის გეგმა სრულად ვერ პასუხობს ბოლო პერიოდში კონფლიქტურ ზონებში განვითარებული საშიში ესკალაციის უშუალო მიზეზს - რუსეთის ფედერაციის როლსა და ქმედებებს. რუსეთი თამაშობს ცენტრალურ როლს საქართველოში უსაფრთხოების გაურესებაში. სამშვიდობო პროცესის პირველ ეტაპად საქართველო განიხილავს საქართველოს სუვერენიტეტის საკანონმდებლო, სამხედრო და ეკონომიკური ხელყოფის შეჩერებას, რომელიც გამომდინარეობს რუსეთის ქმედებებიდან.

ამასობაში, 18 ივლისს თავის ქართველ კოლეგასთან გამართულ შეხვედრაზე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარ კუმნერმა განაცხადა, რომ სექტემბერში ის საქართველოში ვიზიტით ჩამოვა ევროკავშირის ინტენსიური დიპლომატიის გასაგრძელებლად. ამჟამად ევროკავშირის სწორედ საფრანგეთი თავმჯდომარეობს.

დამატებითი ინფორმაცია

ევროკავშირის განცხადება უშიშროების საბჭოსადმი (21 ივლისი)
[მირითადი ელემენტები](#)

ევროკავშირი გამოხატავს სერიოზულ შეშფოთებას საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში გაზრდილ დამაბულობასა და გაშხირებულ ინციდენტებთან დაკავშირებით, დაბომბვისა და შეიარაღებული ინციდენტების ჩათვლით.

ევროკავშირი განსაკუთრებით შეშფოთებულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, რომლითაც დასტურდება რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების შეჭრა საქართველოს ტერიტორიაზე. ევროკავშირი იმეორებს, რომ უშიშროების საბჭო მის რეზოლუციებში, კერძოდ #1808 რეზოლუციაში, ადასტურებს ”ყველა წევრი სახელმწიფოს ვალდებულებას დაიცვას საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა მის საერთაშორისო დონეზე აღიარებული სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრების ფარგლებში”. საქართველოს სუვერენიტეტის ამგვარი დარღვევები მიუღებელია.

ევროკავშირი კვლავაც იმეორებს მოწოდებას რუსეთის ფედერაციისადმი უარი თქვას 2008 წლის 16 აპრილის ბრძანებულების შესრულებაზე, რომლითაც ოფიციალური კავშირები მყარდება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო რეგიონების ხელისუფლებების უწყებებთან საქართველოს თანხმობის გარეშე.

ევროკავშირი ადასტურებს მხარდაჭერას საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის (UNOMIG) მიმართ, რომელიც თამაშობს მასტაბილირებელ როლს კონფლიქტების ზონაში, ეხმარება რა გაეროს უშიშროების საბჭოს 2008 წლის 15 აპრილის #1808 რეზოლუციას. ევროკავშირი განსაკუთრებულ წუხილს გამოხატავს საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიაში მშვიდობის სამსახურში მომუშავე თარჯიმნის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ევროკავშირი მოუწოდებს ყველა მხარეს UNOMIG-თან სრული თანამშრომლობისკენ.

ევროკავშირი გმობს ყოველ აქტს, რომელმაც შეიძლება გაზარდოს დაძაბულობა და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს კონფლიქტის მშვიდობიანი და სტაბილური მოგვარება. ევროკავშირი ორივე მხარეს მოუწოდებს თავიდან აიცილოს ქმედებები, რომლებიც გაზრდის დაძაბულობას, და იმოქმედონ უშიშროების საბჭოს შეთანხმებებისა და რეზოლუციების შესაბამისად, 15 აპრილის #1808 რეზოლუციის (2008) ჩათვლით. ევროკავშირი მოუწოდებს ყველა მხარეს რაც შეიძლება სწრაფად დაასრულონ შეთანხმება ძალის არგამოყენებისა და დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შესახებ.

ევროკავშირი მოუწოდებს მხარეებს მოლაპარაკებების არსებული ფორმატის ფარგლებში გამართონ დიალოგი კონფლიქტის მოსაგვარებლად. ევროკავშირი განატყვევებს მხარდაჭერას გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის ფარგლებში გადადგმული ნაბიჯების მიმართ, ისევე როგორც მხარდაჭერას სამხრეთ ოსეთში ეუთოს მოქმედებებისადმი.

ევროკავშირი მზად არის ითამაშოს აქტიური როლი ამ ქმედებების მხარდასაჭერად, დიალოგის ხელშეწყობისა და მხარეებს შორის შეთანხმებული ნდობის ზრდის საშუალებების განვითარების ჩათვლით. ევროკავშირი განაგრძობს მუშაობას კონფლიქტის მოლაპარაკებების გზით მოგვარებისკენ, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებული იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მის საერთაშორისო დონეზე აღიარებული საზღვრები. სწორედ ამ ფონზე მოხდა ბატონი შტაინმაიერის მიერ თბილისისა და სოხუმისთვის ახლახანს სამშვიდობო ინიციატივის შეთავაზება და ბატონი კუშნერის განცხადება, რომ იგი უახლოეს მომავალში ეწვევა თბილისს ევროკავშირის თავმჯდომარეობის სახელით.

საქართველო საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადების სრული ტექსტი:
http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=461&info_id=7076

UNOMIG-ის ანგარიშის სრული ტექსტი, რომელიც ადასტურებს 20 აპრილს რუსეთის მიერ ქართული საფრენი აპარატის ჩამოგდების ფაქტს:

http://www.unomig.org/data/file/970/080402_sg_report_en.pdf